საქართველოს კანონი

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 30.09.2002, მუხ. 125) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13[1] მუხლი:

„მუხლი 13[1]. საკადრო უფლებამოსილება

1. მხოლოდ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოა უფლებამოსილი:

ა) დაამტკიცოს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა;

ბ) განსაზღვროს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატში დასაქმებულთა გასამრჯელო;

გ) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატში პირის დასაქმებისათვის დაადგინოს ძირითადი, სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შეარჩიოს, დანიშნოს, დააწინაუროს, გადაიყვანოს და გაათავისუფლოს პირები ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატში.

2. ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსი ცხადდება ყველა რანგის თანამდებობაზე. პირის დასაქმებისათვის კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, საკონკურო კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების დებულებით.

3. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატში დასაქმებულის დაწინაურების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისებისა და ადეკვატური კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებათა დადგენის მიზნით, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, მის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, ახდენს აპარატში დასაქმებულის და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, ადგენს დასაქმებულის პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამას.

4. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატში დასაქმებულის დაწინაურების, გადაყვანის, ასევე წახალისების და პრემირების წესი განისაზღვრება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული დებულებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), 11/11/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.017921) ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*